




№ 28 - 1917	ფანი	წელიწადი იანვარი
კვირა მკათათვის 9	20. კ.	გამოცემისა

მე რათ მინდა?

მე რათ მინდა ლხინი, თუ რომ ჩემი მოძვე ბედს ემღერის,
 და დღე და ღამ კენესის, ჰგოდებს, იტანჯება, შია, სწყურის?..
 მე რათ მინდა მზის სხივები, თუ სხეებისთვის ირგვლივ ბნელა,
 და იმისა მეოხებით იღუპება ყველგან ყველა?
 მე კაცო ვარ და კაცის მაქვს აზრი, გრძნობა, წარმოდგენა!..
 მე რათ მინდა სიხარული, თუ სხვას აღრჩობს ცრემლთა დენა?.

ივგენი დვალი.

ბორჯომის წ. კ. გ. ს. სცენის მოყვარეთა წრე
 (ათის წლის სასცენო მუშაკების გამო)



ი. ბეეიტაძე გ. ვაშაკიძე პ. ხუციშვილი დ. ვაშაკიძისა მ. ივ.-ემელი. ნისა

საქალაქო არჩევნები.

თვითმპყრობელი მეფის დროს ჩვენ ვიყავით მონებო, ყოველგვარ უფლებას მოკლებული. თვითმოქმედებისაკენ ყველა კარი ჩვენთვის დახშული იყო. მთავრობა აკეთებდა ყოველივეს ისე, როგორც მას სურდა და ჩვენ კი უბრალო მაყურებელი ვიყავით.

დღევანდელმა რევოლუციამ ჩვენ გავხადა მოქალაქეებათ და მოგვანიჭა ყოველგვარი უფლება.

თვითმოქმედებისაკენ ყველა კარი ჩვენთვის დღეს ღია არის და ჩვენ შეგვიძლია შეერთებულის ძალით გავაკეთოთ ყოველისფერი, რაც ჩვენ გვინდა.

დღეს ყველაზე მეტი შრომა, მეტი მოქმედება მართებს მას, ვინც უფრო ხელფებს შებორკილი იყო ძველი წყობილების დროს.

ვინ იყო უფრო შებორკილი?

მშრომელი ხალხი.

თავადები, ბურჟუები, მდიდრები და საზოგადოთ ყველა მუქთახორები დაახლოებული იყვნენ მთავრობასთან, სასახლესთან. ამიტომ არა თუ კანონით სარგებლობდნენ ბევრგვარი უპირატესობით ხალხთან შედარებით, არამედ კანონს გარეშეც აკეთებდნენ თავთავის წოდებრივსა და კლასობრივ საქმეებს ნაცნობების, მფარველობისა და ქრთამების შემწეობით.

მშრომელ ხალხს კი ყველა კისერზე აჯდა და ყველა მუხრუჭებს უქერდა: არ გაინძრეს და არ ვადმოგვყაროსო.

ყველა რივიანათ ცხოვრობდა, მხოლოდ მშრომელი ხალხი იყო მოკლებული ადამიანურ ცხოვრებას და აუტანელ ჯაფაში უსიხარულოთ იღვოდა მისი დღეები.

დღეს მშრომელ ხალხს არაფერი არ გააჩნია გარდა თავისუფლებისა და მიაჯისა.

მშრომელმა ხალხმა თვითონ უნდა შექმნას ყოველგან, ყოველ დარგში ადამიანური ცხოვრების პირობები.

მშრომელი ხალხი ორ ბანაკათ არის გაყოფილი: ერთია სოფელში მიწის მუშები, მეორეა ქალაქში — ქალაქის მუშები და წვრილი ხელოსნები.

პირველი უნდა გაბატონდეს სოფელში და თავის სასარგებლოთ მოაწყოს სოფლის ცხოვრება.

მეორე უნდა გაბატონდეს ქალაქში და გადააქციოს ის მშრომელი ხალხის ქალაქათ.

პირადი მოქმედებით დღეს გოლიათიც ველარ გაიმარჯვებს ცოვრებაში. პირადი კეთილდღეობის მოსაპოვებლათ საქიროა შეკავშირება, ერთად მოქმედება.

ქალაქში ბევრია წვრილი ხელოსანი, წვრილი ვაჭარი, რომლებიც თავისი შრომით დღიურ ლუკმაზე გამოდიან. ყველა ესენი ვერ მიაღწევენ მიზანს და ცხოვრებას ვერ გაიუმჯობესებენ ისე, თუ არ შეუერთდნენ ქალაქის მუშებს და მათთან ერთად, მათის მეთაურობით არ იწყეს ბრძოლა.

საარჩევნო კანონი ქალაქში ისეთი იყო ძველი წყობილების დროს, რომ ქალაქი მდიდრების ხელში რჩებოდა.

მდიდრები ბატონობდნენ ქალაქში, მდიდრები აკეთებდნენ თავის საქმეებს, ღარიბი სათვის კი არაფერი არა კეთდებოდა.

სად იყო ქუჩები კარგათ მოფენილი და დასუფთავებული?

მდიდრების უბანში.

მშრომელი ხალხის უბანში კი ქუჩები სოფლის გზაზე უარეს სურათს წარმოადგენდა, განსაკუთრებით ავდარში.

სად იყო ქუჩები განათლებული?

მდიდრების უბანში.

ვის აკლდა და აკლია წყალი?

ყველას. მდიდრებს კი არ აკლიათ.

ვის აკლდა და აკლია საიქიმო დახმარება საავთმყოფოში?

ღარიბებს.

მდიდრები საზღვარ გარეთ და რუსეთშიაც იპოვიან საუცხოვოთ მოწყობილ საავთმყოფოს.

ვინა ხდება სხვა და სხვა გადამდები სენით ან ხანგრძლივი ავთმყოფობით ავთ.

ღარიბი ხალხი.

ასეთი ავთმყოფობის წამლობა სახლშიაც რომ იყოს შესაძლებელი, ღარიბებისათვის ეს მოუხერხებელი ხდება სივიწროვის, უსაღსრობისა და სხვა მიზეზების გამო. ამიტომ

საავთმყოფო ქალაქში არავისათვის იმდენათ აუცილებელი არ არის, რამდენათაც ღარიბი ხალხისათვის.

ამ მხრივ კი თბილისი სრულებით უნუ-გეშო სურათს წარმოადგენს.

მიხილოვის საავთმყოფო ინახება საე-რობო ხარჯით.

ქალაქსა აქვს ერთად ერთი საავთმო-ფო, რომელიც ღარიბი ხალხის საპიროების მეთესდაც ვერ აკმაყოფილებს.

ერთი სიტყვით მშრომელი ხალხის ჯან-მრთელობა, უბანი, სახლკარი, ქუჩები—სრუ-ლებით უყურადღებოთ არის დატოვებული.

ვინ უნდა მოკლოს ყოველივე ამას ბოლო? მდიდრებმა?

დღემდე მდიდრების ხელში იყო ქალაქი, მაგრამ ღარიბებისათვის მათ მხოლოდ ნამცე-ცები გაიმეტეს.

მხოლოდ მშრომელ ხალხს შეუძლია, დაიპყროს ქალაქი და მოაწყოს ის მშრომელი ხალხისავე სასარგებლოდ და საკეთილდღეოთ.

ჩვენ არაფერი არა გვაქვს იმის წინააღ-მდეგ, რომ მდიდრების უბანი განათებული იყოს, გალამაზებული, მათი ქუჩები სუფთა და მოკირწყლული. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ამგვარსავე სურათს წარმოადგენდნ მშრომე-ლი ხალხი უბნები.

როგორ, რა გზით უნდა დაიპყროს ქა-ლაქი მშრომელმა ხალხმა?

ძველი მთავრობის დროს თუ არჩევნები მდიდრების ხელში იყო, დღეს საარჩევნო უფლება ყველას აქვს.

ქალაქში უმრავლესობა მშრომელი ხალხია.

მაშასადამე თუკი ქალაქის მშრომელი ხალხი, დემოკრატია შეკავშირდება, უსა-თუოთ უნდა გაიმარჯვოს.

მთელი ქალაქის დემოკრატის, რომელ ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდეს ის, ერთი მიზანი აქვს: ქალაქის მოწყობა მშრომელთა საკეთილდღეოთ.

ამიტომ მშრომელი ხალხის დროშა ქა-ლაქის არჩევნებში უნდა იყოს მხოლოდ ინტერნაციონალური და არა ვიწრო ნაციო-ნალური.

მშრომელმა ხალხმა უნდა აირჩიოს ქა-

ლაქის საქმეების მოსაწყისრიგებლოთ ისეთი კაცები, რომლებიც დაცხვენ მშრომელი ხალ-ხის ინტერესებს. ასეთი კაცები ქართველებ-შიაც არის, რუსებშიაც, სომხებშიაც, თათ-რებშიაც.

ვერც ერთი ეროვნების მშრომელმა ხალხმა კავკასიაში ვერ შექმნა ისეთი მტკიცე დამცველი თვისი ინტერესებისა, როგორც ქართველმა მშრომელმა ხალხმა. ეს არის ქარ-თველი სოციალდემოკრატია.

თბილისის მთელმა დემოკრატამ განურ-ჩევლოთ ეროვნებისა თავი უნდა მოიყაროს ქართველი სოციალდემოკრატის გარშემო და მისი მეთაურობით ჩაებას საარჩევნო ბრძო-ლაში

უამისოთ დემოკრატის დამარცხება აუ-ცილებელია.

მაშინ ქალაქს ისევ მდიდრები ჩაიგდე-ბენ ხელში და ღარიბებს კი დარჩებათ ხელში სიბნელე, სიბინძურე, წყურვილი, შიმშილი, ავთმყოფობა და მრავალი სხვ.

უნდა კარგათ გვახსოვდეს, რომ ქალა-ქის მდიდრები ყოველგვარ საშუალებას მი-მართავენ, რომ ქალაქის დემოკრატია დაქსა-ქსონ, ეროვნული უთანხმოება დათესონ, უეციები გადიბირონ და მიიმხრონ.

ამ მიზნის მისაღწევათ ქალაქის მდიდრე-ბი არავითარ ხარჯს, შრომის და საშუალე-ბას არ დაერიდებიან.

აქეთვე არის მიმართული დაშნაკცაკა-ნების გამოლაშქრება ქართველი სოციალდე-მოკრატის წინააღმდეგ.

დაშნაკცაკანები ღვისი სოციალისტობით სომხის გაუწვრთნელ და დაურახმავ დემო-კრატის ატყუებენ, ნამდვილათ კი მსხვილ ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურებიან.

თუ დღეს არჩევნების საშინდისში მათ ნიშანში ამოიღეს ქართველი სოციალდემო-კრატია და ვიწრო ნაციონალისტობასაც კი სწამებენ მას, მათ მიზანშ-სომხის დემოკრა-ტია ჰყავთ. მათ უნდათ სომხის დემოკრატია ჩამოაშორონ ქართველ და სხვა ერთა დემო-კრატის და სოლოლაქის სასარგებლოთ გა-მოიყენონ.

თუ რომ თბილისის დემოკრატამ საქი-

რო ზომები არ მიიღო, თუ რომ არ შეეძო-
ლა ასეთ პროვოკაციული ხასიათის აგიტა-
ციას, დაწინაურებები თავის მიზანს მიღწე-
ვენ: თბილისის დემოკრატია განურჩევლად
ეროვნებისა შეთანხმებული აღარ გამოვი-
მომავალ არჩევნებზე.

არჩევნების დღეს მთელი თბილისის
მშრომელი ხალხი როგორც ერთი ადამიანი,
უნდა გამოცხადდეს თავთავის საარჩევნო
უბანში.

არც ერთი ხმა დემოკრატისა არ უნდა
დაიკარგოს.

ავათმყოფი უნდა წამოდგეს ლოგინიდან
და მოვიდეს, რომ დემოკრატის ასარჩევ პი-
რებს კენჭი მისცეს.

დღევანდელი საქალაქო არჩევნები გა-
მოცდაა თბილისის დემოკრატის მომზადე-
ბისა, მოქალაქეობისა და პოლიტიკური სიმ-
წიფისა.

თბილისის დემოკრატამ უნდა გაი-
მარჯვოს

თუ დამარცხდა, ისევ მისი ბრალი იქნება.

ივ. გომართელი.



თეატრის პასუხისმგებელი სელმძღვანელები.

საყურადღებო იყო მოწოდება ქართველ
მსახიობთა კავშირისა. მართალია, ჯერ ჩვე-
ნმა თეატრმა ვერ გვითხრა ახალი სიტყვა,
რევილიუციამ მას გაცილებით გაუსწრო წინ,
მაგრამ ჩვენ იმედს არ ვკარგავდით და ეს ახა-
ლი სურვილი საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ,
რომ ჩვენი თეატრის ხელმძღვანელები ცდი-
ლობენ ის შესაფერ სიმალღემდის ასწიონ.
მთავარი კითხვა ამ უამად იმაშია, თუ როგორ
განახორციელდეს კავშირი იმ სურვილებს, რო-
მელიც მას ჰქონია. ეს არც ის, ადვილი იქ-
ნება.

დღეს სათეატრო საქმეში პირდაპირ
ანარქიაა გამეფებული. ახალი შენიშნული
არაა ჩვენი ერთი ნაკლი: თითქმის ყველა ან-
ბანის მკოდნეს უნდა გაპოეტდეს და სარე-
დაქციო გოდრები ნაძალადევი ლექსებითაა
სავსე ჩვენში ყოველთვინ; მეორეს მხრით
თითქმის ყველა არა მუნჯს უნდა არტიტი
იყოს. შედეგიც შესაფერია, — პიესების მსვლე-
ლობა სცენაზე მარტო ფიზიკური მოძრაო-
ბით (ხელების ქნევით, სირბილით, კივილით,
თავზე ხელის ცემით და სხვა) განისაზღვრება
ხშირად. რასაკვირველია, ყველა შემოთქმული
პროვინციას ეხება, სადაც ყოველგან ასეთი
სურათია. გამონაკლისებს ზოგი პროვინციის
ცენტრები თუ წარმოადგენენ.

მთელი ლეგიონი ასეთი ნაძალადევი „არ-
ტიტებისა“ დღეს შეუბოქველად მოქმედობს
და ამით ნიადაგს აცლის პროვინციაში სათე-
ატრო ხელოვნების ფეხის მოდგმას. მართა-
ლია, თეატრის საკითხი დღეს ყველასათვის
მთავარი საკითხი არ არის, მაგრამ მის შე-
კავშირებულ ხელმძღვანელებისთვის კი უმთა-
ვრესი კითხვა უნდა იყოს. ამათმა ენერგიულმა
მოქმედებამ უნდა ალაგმოს ის უპასუხისმგე-
ბლო ლეგიონი, რომელიც დათვურ სამსახუ-
რს უწევს ბევრგან მივარდნილ კუიხეებში სი-
მპატია მოპოვებულ სათეატრო ხელოვნებას.
კავშირმა ხელოვნების სიწმინდე უაღრესად
უნდა დაიცვას, მაგრამ უნდა არ დაივიწყოს
მომენტიც და ეს სიწმინდე ხალხთა ცხოვრების
წმიდა მისწრაფებებს შეუფარდოს.

თეატრი და ცხოვრება განსაკუთრებით
დღეს უნდა ვნახოთ ერთად. კავშირის
მოწოდებაც ამას ემსახურება, რადენად
ეს მის შინაარსიდან გამოსჰვივის. ამ შინაარსი
განხორციელებისათვის კი საჭიროა ამო-
ქმედება კავშირის წევრების. ზვიდან მარ-
თვა ამ შემთხვევაში არ გამოდგება. საჭიროა
აღვილობრივ პირობების გაგება და თეატრის
პასუხისმგებელ პროვინციის ხელში გადაცემა-
პროვინციებში სადაც უატრს ფართო ნიადაგი
მოუპოვია და ადგილობრივი სასცენო ძალები
დრამატიული საზოგადოების სახით ჯერ კი

დევ ვერ შეკავშირებულან, საქიროა კავშირ-
მა იყოლიოს საზოგადოებისაგან პატივცემული და თეტრთან ახლოს მდგომი ზირი წარმოდგენების მსვლელობის პასუხის მგებელ ხელმძღვანელად. ე. ი. ის იქნება რეპერტუარის გადამმშინჯავი, შესაფერ ფასების დამაწესებელი გარემოების მიხედვით, კავშირის მქონე ადგილ. რევოლუციონურ მთავრობის წარმამდგენლებთან და პიესის შინაარსზე მათ წინაშე პასუხის მგებელი და სხ. სადაც ყველა მეთაურია, იქ საქმე არ გაკეთდება. ვინმე უნდა ცდილობდეს, რომ სხვა არა იყოს რა ტენიკურად მაინც მოაწყოს წარმოდგენის გამართვის საქმე.

დავალეგებს და მოწმობებს კავშირი იფად არ უნდა იძლეოდეს, თორემ მისი ავტორიტეტიც, გაიფუტება. პირადათ ჩვენ ცოტათი შეგვეფიქრიანა კავშირის მიერ გადადგმულმა ერთმა ნაბიჯმა და გულწრფელად გვინდა ის გავაფრთხილოთ, რომ მომვალშიც ასე არ დაემართოს ჩვენი წინ დევს აფიშა, რომელზედაც ვკითხულობთ „ქადაგებ მსახიობთა კავშირისაგან დამტკიცებულ აბაშის რაიონის სტენის მთავართა გუნდი.“ ხელი უწერიათ ისეთ ახალგაზღვებს, რომელნიც თეატრის ხელმძღვანელად ვერ გამოდგებიან ხოლო მაყურებლად კი. სასურველია, როცა ახალგაზღვები კულტურულ თავშეკცევას ეტანებიან, მაგრამ საზოგადოების წინაშე გამოსვლა და ისიც ფასიანი წარმოდგენით უნდა შეედლოს მხოლოდ პასუხის მგებელ ხელმძღვანელებს. რომელსაც სალი კრიტიკა შეაფიქრიანებს და არა ყალყზე დააყენებს. ამასთან კავშირს არ ჰქონდა უფლება, რომ ასეთი დიდი სახელი მიეცა ასეთ პაწია ჯგუფისათვის, რომელსაც შეუძლია ნაცნობებისთვის წარმოდგენების მართვა და არა რაიონის საკადრისის. უნდა გვახსოვდეს, რომ აბაშის რაიონი მოწინავე რაიონია. ამ ჯგუფს ანგარიშს გაუწევვენ ადგილ. მოწინავეები და ახლავე გაუგებრობა არ უნდა დაეშვა კავშირს. ჯერ უნდა გაიცნოს კავშირმა ძალები და შემდეგ არიგოს მოწმობები. ეს ჩვენი რჩევა გულწმინდაა და იმედია მხედველობაში მიიღებს კავშირი. იმედია კიდევ, რომ კავშირი პროვინციის თეატრს აქედანვე დიდ ყურადღებას მიაქცევს და პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს დაუნიშნავს პროვ. ცენტრებში, სადაც დრამ. საზ-მა ჯერ ვერ შემდგარა.

არ. ფანცულაია.

* * *

და აბა, ესეც თავისუფლება!
რა თვალწარმტაცი, ჰაეროვანი და სრულ ქმნილი იყო იგი, როს შორით სჩანდა, ხელს ვერ ვკიდებდით.

იყო? განა ნამდვილათ კი არ არის სრულქმნილი და მშვენიერი?

ქეშმარიტად რომ არა!
თუ სრულ ქმნილია, თუ მშვენიერი გუნდრუკ საკმევი უნდა იყოს ყველასათვის, განურჩევლად!

სქესი და რწმენა, ერი დიდი და ერი-პატარა ერთის უფლებით უნდა იყვნენ აღქურცილი მის შარავანდელით მოცულ თავისუფლების ტახტის წინაშე!

ერი ჩემი კი ამ უფლებას ვერსად ვერ ხედავს...

არ შეუძლიან თანასწორობის უფლებაზე ხმის ამოღება, რადგან ამბობენ: ეგ „ტაქტიკას“ არ უხდებოა..

ჰმ! სასაცილოა, სატირელი რომ არ იყოს ეგ!

თუ ყოველ ერსა, პატარასა თუ დიდს შეუძლიან თავის თავზე ხმა აღიმადლოს თვისი სახე გაარკვიოს, აგრძნობინოს ყველას თავის „მე“—

ერი ჩემი რათ შეადგენს გამოწაკლისსა? განა „ტაქტიკა, — რომლის ხსენები რ გვაშინებენ ვით საფრთხობელით ბელურა ჩიტებს—მარტო ჩვენთვის არსებობს მხოლოდ და სხვისთვის კი არ?

მაგრამ... ეჰ, ბედი ჩვენი ზეცას სწერია! თუ იქ არა სურთ ჩემი ერის მიწიდან აღგვა, გაცამტერება—ჩვენ ჩვენის „ტაქტიკით“ ვერას ვიზამთ, ვერას გავხდებით.

თუ კი სხვას აქვს თავისუფლების მოთხოვნის ნება, ჩემი ერიც ითხოვს მასვე.

და ამ მოთხოვნის ყოველნაირი უფლება აქვს მას...

სულიერი, ზნეობრივი, კანონიერი, რადგანდ რაფერიც არ უნდა იყოს იგი უფლება. და როს თვალწარმტაცს, ჰაეროვანს, სრულ ქმნილ თავისუფლებას ეღიროება ერი ჩემი, აბა მაშინ ნახეთ, განსაჯეთ: შეუძლიან თუ არ მას იმ „ტაქტიკის“ ტაქტიკურათ მოხმარება, რომლის შემდეგ ქეშმარიტად შეიძლება თქმა:

... და აბა, ესეც თავისუფლება!
თვალწარმტაცი, ჰაეროვანი სრულ ქმნილი და გუნდრუკ საკმევი!

განა ბარველი

ცხოვრების ზღვაზე

შფოთავს, ბობოქრობს ცხოვრების ზღვა მოუსვენარი,
 მოუსვენარი ცათ იწვევა „აჰ“ დასანთქავათ;
 დაღმუის, ვით სხვერპლს, ჩემ მცურავ ნავს გრივალი ქარი.
 ბნელი ფრთებსა შლის, გზას მიბურავს ნისლეებით 'მავათ,
 ზვირთი ზვირთს მოსდევს ქარის ფრთებზე აგორებული.
 არღვიე მედგრათ! გზას არ ასცდე! შენ, ჩემო ნავო!..
 ტალღა უნდოა, ტალღა—მშფოთვარ-აღელვებული...
 ბნელით მოცული გზა მინათე ჩემო ვარსკვლავო!!

რად იმაღები კმუნვით საესე ცის სქელ ღრუბლებში?
 რა უყოთ მერე, რო სხვერპლი ვარ მე ამა ზღვისა?
 მერე რა—მე თუ დავიღუპე მებრძოლ ტალღებში,
 ხომ შევიმოკლე ოდნავ მაინც სავლელი გზისა?
 რა უყოთ მერე, რო ვერ ვპოვებთ სხიოსან დღესა,
 რა ვერ ვიხილეთ მოკაშკაშე მიწა და ცანი..

თუ ობლათ მცურავს ნავს ზვირთები ახეთქებს კლდესა,
 სულს ვერ დაღუპენ, არ დაინთქმის ლტოლვის მიზანი...
 ზუზუნებს ქარი, ქშინავს ტალღა, მოგორავს ზღავათ...
 სიკვდილი გვიმდერს შავ ძილის პირს... წინ ჩემო ნავო!
 ზღვა ქაფმორეულ შავ პირს აღებს ჩვენ დასანთქავათ...
 ბნელით მოცული გზა მინათე ჩემო ვარსკვლავო!!

მებრძოლი სულის წილხვედრია ბნელი არღვიოს,
 უშიშრათ კაფოს ნარეკალი, წინ, წინ იაროს,
 ბრძოლის აღმულში თვით სიკვდილის აჩრდილიც სძლიოს,
 რომ დაეწაფოს საოცნებო იმ შევების წყაროს...
 ბრძოლაა მარად თვით სიცოცხლე ადამის ძისა,
 რა რომ იგემა მან ნაყოფი ხე—აკრძალულის,
 რა პირველ გახდა ძმა კაინი მოსისხლე ძმისა.
 რა შეიბურა ბოროტებით წიაღი სულის.
 მივინდოთ ამ ზღვას და ამ ლტოლვის მსრბოლ დაუცხრომელს...
 ნუ შეუღრკები ნურა დღევას.. წინ, ჩემო ნავო!
 არ უღალატო შენს მეგობარს მგზავრს—დაუცხრომელს...
 ბნელით მოცული გზა მინათე ჩემო ვარსკვლავო!!

ღე დამჩხავოდეს თავს მწარე ხვედრს ყორანი შავი;
 ტლუ მოგზაური მეგორავ ზვირთმა უფსკრულს დამძიროს;
 მიგლიჯ-მოგლიჯოს გიჟმა ტალღამ ერთგული ნავი;
 წყლის ქარტეხილთა ზვირთთა ზარმა გამომიტიროს!
 დაე, მოვსტყუადე, ვერ ვიგემო აღთქმული შევბა,
 ვერ მივადწიო, ველარ მივსწვდე იმ მიწას, იმ ცას,
 დაე იქც იყოს ჯოჯოხეთი და ბოროტება—
 ვერ შევაჩერებ გიჟურათ მფრენ ჩემ ლტოლვის მერანს,
 ვერა, ვერ წარვკვეთ, ვერ ჩავაქრობ სწრაფვა სულისას!
 ეკვეთე ზვიროებს მხნეთ, უშიშრათ!... წინ ჩემო ნავო!.
 ვიბრძვი, ვესწრაფი აღთქმის მხარეს სიყვარულისას...
 ბნელით მოცული გზა მინათე ჩემო ვარსკვლავო!!

გამოსულიყო... ან მეზალე, ან მთავრობის მოხელე ან სხვა რამე, ოღონდ ამ დაუსრულებელი და უსარგებლო ოცნების გზას არ დადგომოდა... მაგრამ თქვენ ნუ განაწყინდებით.. მე ხანდისხან ბოლმა მომივლის ხოლმე და რაც გულში მაქვს უნდა ამოვშალო. მე ვიცი, რომ ეს უწყესრიგობაა, მაგრამ გული არ მითმენს. ჯერ ვიჯავრებ, ვიბოლმავებ ხოლმე და მერე კი ვფიქრობ: ღმერთო, უფალი მოგჩხედავს და ყველაფერს საუკეთესოთ წარმართავს... დიახ, გააცინეთ! მე უწინდელი აღამიანი ვარ და ჩემ ნათქვამს არაფრის გუარლისთვის არ გადავთქვამ. იმისადმი, რომელიც არის იქ, მაღლა ცაში... არაფერს ქვეყანაზე არ შეუძლიან შეარყიოს ჩემი რწმენა...

ფრ. ანნა. მე სრულებითაც მაგის თქმა რა მინდოდა, დედი და არც გამიცინია. ხელავთ, ეხლა კარგ გუნებაზე დადექით. გავიდეთ? შუშაბანდში სასიამოვნო სიტბოა.

ფრ. ფოკ. არა, არა, გავცივდები... და საქმეცა მაქვს. წადით თქვენ და იოჰანესი მოიყვანეთ: ყავა მზათაა (ანნა გადის, ფრანუ ფოკერატი ოთახს აჯაგებს, შტეერსა სწმენდს. ამ დროს მოისმის დადაბანდის და სეფიარის ხმა. ფრ. ფოკერატი საჩქაროთ მიდის საკრემელთან. საკრემელის ხმა თანდათან სუსტდება და ბოლოს სულ სწყდება, ფრანუ კეტე კაპოტ ჩანმუფი გამოდის სააწვლ ოთახიდან)

ფრ. კეტ. (გაჭაგრებუფი) კვირაობით არ საშინელი ხმაურობაა ხოლმე აქ

ფრ. ფოკ. გიმნაზიელთა საზოგადოება იყო ბერლინიდან. მეტის მეტად კარგი ხალხია! დილა მშვიდობისა, კეტა, ხომ კარგათ გეძინა? დღეს შენ როგორღაც...

ფრ. ფოკ. წუხელ ბაღშია ორჯერ გაიდვიდა. მერე ვეღარც მე დავიძინე... მაგრამ თავი დამანებე, დედი! ზოგი რა მაქვს მოსაფიქრებელი და მოსასაზრებელი, ზოგი რა...

ფრ. ფოკ. ნეტავი დაგეჯერებინა, შვილო, და ბავშვი ძიძასთან დაგეწვინა.

ფრ. კეტ. (სეფეაღურის კიდეით) ეჰ, დედი, შენ ხომ იცი...

ფრ. ფოკ. რატომაც არა?

ფრ. კეტ. შენ ხომ იცი, რომ არაფრის გულისათვის არ დავთანხმდები...

ფრ. ფოკ. ერთხელ როდისმე ხომ უნდა დასთანხმდე.

ფრ. კეტ. (გაჭაგრებუფი) არაფრის გულისათვის ბავშვს არ მოვშორდები! ფილიპე, ჩემი შვილი... ისეთი პაწაწინტელა და უდედოთ?..

ფრ. ფოკ. შვილო, შვილო, რა დაგე-მართა? მაგას ვინ ამბობს!..

ღმერთმა დაგვიფაროს!.. აბა გინდა რამე? ყავა არ გინდა მოგიტანო? კარაქი წაუყავა პურზე? თუ...

ფრ. კეტ. (სტოჯთან ჯდება, დაღლილის ხმით) ჰო გეთაყვა. (ცოტა ხნის შემდეგ, რადესან ფრ. ფოკერატი პურზე კაპაქს უსვამს, კეტე ეკითხება) იოჰანესი სად არის?

ფრ. ფოკ. ისინი ყურძენსა პკრფენენ ისა (ნიკაშით) და ფრელინ ანნა.

ფრ. კეტ. (ხელის გულზე დაბჯენილი, წუნაქად) ძალიან საყვარელი ქალია არა, დედი?

ფრ. ფოკ. სწორე გითხრა, ის ქალი მეც მომწონს.

ფრ. კეტ. ჰხედავ, დედი! შენ ხომ ასეთი, უფლებით მამაკაცებთან გათანასწორებული ქალების წინაღმდეგი იყავ ყოველთვის...

ფრ. ფოკ. რაც კარგია—კარგია!.. უნდა გამოვტყდე...

ფრ. კეტ. (გაჭაანურებით) ეგ ქალი მეტად უბრალო აღამიანია და ამასთანავე ნამდვილი ქალური ყოფა ქცევისა... სრულებით არ მეტიჩაობს... არ მატრაკვეცობს... თუმცა ძალიან ქვიანი და მასთან განათლებულია... მე მაგისი ხასიათი უფრო მომწონს. მართალს არ ვამბობ, დედი? სრულებით არ უყვარს თავისი ცოდნით ყოყოჩობა... იოჰანესის მაგიერ მე მიხარია! დედი, ხომ შენიშნე, რომ იოჰანესი ეხლა მუდამ ისეთი მხიარულია...

ფრ. ფოკ. ჰო, ჰო! მართალი ხარ, იოჰანესი ეხლა სწორედ ბავშვივითა ცელქობს ხოლმე ხანდისხან!..

ფრ. კეტ. ხომ მართალს ვამბობ, დედი?

ფრ. ფოკ. ეგ იმიტომ, რომ ეხლა ჰყავს იმისთანა აღამიანი, რომლის წინაშეც შეუძლიან სულ ერთიან წამოშალოს თავისი მეცნიერების ბუჩო.

ფრ. კეტ. იოჰანესისათვის ეგ დედი რამისა

ფრ. ფოკ. შესაძლებელია რასაკვირველია.. (სიჩუმე).

ფრ. კეტ. ფრეილინა ანნას ბევრ რამეში ვეთანხმები!. ერთხელ რალაჯახედა სთქვა: ჩვენ, ქალები, მეტად დამამცირებელ მდგომარეობაში ვართო. სრული სიმართლეა. იგივე მე ათასჯერ მიგრძენია.

ფრ. ფოკ. მაგისი დარდი კი არა მაქვს!. მაგისთანა რამეებით ძველ ქალებს, რომელთაც ბევრი რამ გამოგვიცდია ცხოვრებაში; — ვერ წაგვიცაღუნებენ. ფრეილინ ანნამ ეს კარგათ გაიგო. მაგისთანებისათვის მე ძალიან მოხუცებული ვარ..

ფრ. კეტ. ის მინც მართალია, დედი!. დღესავით ნათელია, რომ ჩვენ, ქალები რალაჯ საზიზლარი ქმნილებანი ვართ. წარმოიდგინე, ჩვენს კანონებში არის თურმე ერთი მუხლი — ეს გუშინ ანნამ მითხრა — რომლის ძალითაც ქმარს ეხლაც უფლება ეძლევა ფიზიკურათ დასაჯოს ცოლი..

ფრ. ფოკ. ამის შესახებ არა ვიცი რა და ამიტომ ლაპარაკიც არ მინდა. არა მგონია კი, რომ მაგისთანა რამე იყოს კანონებში. მაგრამ, კეტე, ერთ რამესა გთხოვ: წვრილმანებს ნუ გაჰყვები, ყურადღებას ნუ მიაქცევ. მაგისთანა რამეებისაგან აღამიანს უფრო გზა-კვალი ერევა, სულის სიმშვიდე ეკარგება და მეტი არა გამოდის რა. მოითმინე, შვილო, ეხლავე მოგიტან ყავას, დიხ, კეტე, ეს ჩემი აზრია. (გადას)

ფრ. კეტ. (სუფრა გადაშლილ სტოლთანა ზის ნიდაჟუ დაურდნობილი. შუშახანდში გაიფლან იოჭანესი და ფრეილინ მანრი, თანაც სმა მადლა ღმარაკობენ და იცინიან. ფრ კეტე შემკრთაღი ფესზე ადგება და შეეყარებულებს თვალს გააუოლებს. საშინელი სახის გამომეტყველება აქვს, ხამუშ-ხამუშათა სუნთქავს უყავანის და სხვა ჭურჭლის ჩხარუნი მოისმის. შემდეგ ფრეილინ ფოკრტი დახედავს ფრეილინ კეტეს სტოლთან იმხარათვე მჯდომარეს, როგორც დასტოვა)

ფრ. ფოკ. (შემოაქვს უყავა) აბა, დალიე ეხლა და მოლონიერდები.

(ფრეილინ ანნა და იოჭანი შემოდის შუშახანდიდან).

ფრ. ფოკ. თქვენც მოხვედით? ძალიან კარგი.

იოჭ. (შუშახანდის კარებს და სტოლებს) კარებს არა ვხურავ. გარეთ საკმაოთა თბილა ფრეილინ, თქვენ ძალიან ჩაიქვრით!

ფრ. ანნა. (მოათრევს რამდენსამე ვაზის რქას) არა, სრულებითაც არა! ტყუილია. ტოტები დანესტიანებულიყო ცოტათ და გარდა ამისა, მაკრატელი უცაბედათ გადამიცდა. (მარდათ მიდის კეტესთან, ორივე ხელებს უჭერს და შუბლზე ჰკოცნის) დილა მშვიდობისა, ფრეილინ კეტე!. ოჰ, რა ცივი ხელებია.. რა საშინელი ცივი ხელები გაქვთ.. (ხელებს უსრესავს. უნდა გაუთბოს).

იოჭ. (ჰკოცნის კეტეს ღოყაზე, უკანდას) დილა მშვიდობისა, კეტე. (კომიკურად შეწუხებული) დმერთო ჩემო, რას დამზგავსებულხარი საშინელდება. შენ მე მაგონებ ავადმყოფ ვარიას..

ფრ. ფოკ. თქვენ ძალიან გაციეთ ოთახი. მალე საკირო იქნება ფერის გახურება. ყველაფერი მზათაა. აბა დასხედით (ეველას უსხამს უყავს)

ფრ. ანნა. (ვაზის რქით სტოლსა რთავს) ცოტა მოირთო..

ფრ. კე. რა მშვენიერებაა!

იოჭან. აბა შეადარე: როგორი იყო ფრეილინ ანნა ამ რვა თვის წინეთ, როდესაც ჩვენთან მოვიდა და როგორია ეხლა?

ფრ. ანნა. მე ძალიან მოიხდა აქ ყოფნა, მაგრამ ეხლა კი წასვლაზე უნდა ვიფიქრო.

ფრ. ფოკ. ეგ სული სოფლის ჰაერის ბრალია.

იოჭან. მაშინ ვინ იდგა უარზე?

ფრ. ფოკ. ნეტა მამაშენი ეხლა რას შეკრება?

იოჭან. უთუოთ შენთვისა ნაღვლობს.

ფრ. ფოკ. იჰ, იმას ბევრა საქმე აქვს. შემოდგომის თესლი დამზადებული, გაკეთებული ჰქონდა. გახსოვს რა იწერებოდა: დარჩი ვიდრე საკირო ხარო.

იოჭან. წასაყვანად ხომ მოვა, დედი?

ფრ. ფოკ. რასაკვირველია, თუ მივწერ, უეჭველად მოვა. (ფრეილინ ანნას) ის დღით მოხარული იქნება, თუ რამე შემთხვევას იშოვნის, რომ თავისი შვილები ინახულოს.. უფრო კიდევ ეს პატარა შვილიშვილი!. ოჰ,

დმერთო! დეპეშა რო მოგვივიდა—ჯანმთელი ბიჭიოა... ნეტა გენახათ... სიხარულისაგან კინალამ ქკულიდან შეიშალა.

ფრ. კეტ. კეთილო მამავ!.. არა მართლა, შენ მალე უნდა წახვიდე მასთან. ჩვენის მხრივ ეს მეტიც მეტი ეგოისტობაა.

ფრ. კეტ. აბა, გენაცვალე, ეგ რა სათქმელია.. ნეტავე შენ კარგათ იყო და ჯერ პატარა მოსუქდი..

ფრ. ანნა. ვიდრე აქა ვარ, მეც შემოდლიან დიასახლისობა გავსწიო. ყველაფერს გავაკეთებ!.. რუსულ საქმელებსაც კი მოგიხარშავთ—ბორშს, ფლავს!.. (ყველანი იცინიან)

ფრ. ფოკ. (უცბად, შეტად აჩქარებთ) არა, არა! სულ ერთია მე მაინც არ წავალ...

კი შეგიძლიან, დედი, დარჩი რა (სიჩუქე).

იოჰან. კეტე, აბა ერთი თაფლი მომიტა,

ფრ. კეტ. ოჰ, აგერ ბრაუნის მოდის. ვბრაუნი გამოჩნდება: ჰალტოთა, შლიაზით, ქალგით, აბგით, ხელში წიგნი უჭირავს. საშინელი მოწყენილობის ბეჭედი აზის, მოქანცულსავით დადის)

ბრაუნ. დილა მშვიდობისათ.

იოჰან. ასე აღრიანათ რომელმა ქარმა მოგიტანა?

ფრ. ფოკ. (საღფეტკით რაღაცას იგერავებს)

იოჰან. ფუტკარია, დედი დაანებე თავი..

ბრაუნ. ბერლინში წასასვლელად მოვემზადე, მინდოდა ფერადი წამლები მეყიდნა, მაგრამ მატარებელმა გამასწრო.

იოჰან. ჰოო! შენ ეგ ხშირად გემართება.

ბრაუნ. არა უშავს რა, ხვალაც მოვესწრები..

ფრ. კეტ. (ხელებს მადლა იწეხს: იმის საინთან ფუტკარი დაფრინავს) თაფლის სუნი ეტა!..

ფრ. ანნა. განა სხვა მატარებლები აღარ არის? (თავის კულზე შეძრწუნებული იყურება) ფუტკარი, ფუტკარი!..

ბრაუნ. არის, მაგრამ ძვირებია. მე მხოლოდ მუშათა მატარებლით ვმოგზაურობ.

იოჰან. მუშათა მატარებელი დილით აღრე გადის. შენ ეს მიიხარი, ხატვას ჯერ არ გადაეჩვიე?

ბრაუნ. რა ვქნა, აბა! წამლები არ მაქვს და რითა ვხატო?

იოჰან. ვაშა, ვაშა! შენ, ჩემო ძმაო, ზარმაცობა დაიწყე

ბრაუნ. ერთი დღით აღრე გახდები ცნობილი თუ გვიან, განა სულ ერთი არ არის?... და საზოგადოთ ეს თხუპვნა, გლესვა...

იოჰან. ქადრაკის თამაში სჯობია, არა?

ბრაუნ. ურიგო არ იყო შენც მაგ ვართობა-ვარჯიშობისათვის მოგეკიდა ხელი, მაგრამ შენს ზღვას, ძმაო, ნავთსაყუდარი არა აქვს. შენ ქარ-ამოუღებლათ სცხოვრობ...

იოჰან. კიდევ მოიგონე რამე!..

ფრ. ფოკ. (წამოხტება და უვირის) კრაზანა, კრაზანა! (ყველანი საღფეტკებს იქნევენ ფრ. ფოკეატის მხარეზე)

იოჰან. გაფრინდა!..

ფრ. ფოკ. საზიზღარი ქმნილებაა (ყველანი სხდებიან)

იოჰან. აბა დაბრძანდით. (ბრაუნს) ემანდ-არა გაქვს?

ბრაუნ. ცნობის მოყვარეობამ აგიტაცა, არა? ძალიან საინტერესოა!

იოჰან. დაჯექი, ყავა მაინც დალიე.

ბრაუნ. (დაჯდება და წიგნს იოჰანესს მიაწვდის იოჰანესი შლის წიგნსა და ჰფურცლავს) დიდი სიამოვნებით... მე ისე ცოტა ვისაუბმე, აბა იპოვე მარშინისა "მხატვრები"?

იოჰან. (ფუსფუსებს) რა, კიდევ იშოვნე?

ბრაუნ. ჰანს, შენთვის საინტერესოა.

ფრ. ანნა. დიახ, მეტათ საინტერესო ამბავია. ჯერ არ წავგიკითხავთ?

ბრაუნ. არა. დღეს დილით დავიწყე კითხვა ლოგინში და კიდევაც იმიტომ დავიგვიანე მატარებელზე.

ფრ. ანნა. თქვენ რომელი უფრო მოგწონთ. რბიანინი თუ დედოვი?

იოჰან. (ბრაუნს) შენ მეტიც გატაცებით უფრო ჰკითხულობ, ვიდრე ჰხატავ.

ბრაუნ. ეხლა არაფერს არ ვაკეთებ. შენც წაიკითხე და კარგათ ჩაუფიქრდი მარშინის დაწერილ ამბავს: იქნება დარწმუნდებირომ ქვეყანაზე ბევრი იმისთანა რამაა, რაც მხატვრობასა და თხზვაზედაც საჭირო და სასარგებლოა

ფრ. ანნა. მაშ თქვენ რიბინის ეთანხმებით?

ბრაუნი. რიბინს?. არა, არ შემოძლიან ვთქვა, რომ... სრულიად, გადაქრით..

იოჰან. „მხატვრები“ ეს რა მოთხრობაა?

ფრ. ანნა. მაგ მოთხრობაში გამოყვანილია ორი მხატვარი: ერთი გულუბრყვილო, მეორე კი—აგრედ წოდებული განმსჯელი მხატვარი. გულუბრყვილო ინჟენერი იყო და მხატვრობა დაიწყო, მეორემ, მხატვარმა კი თავი დაანება ხატვას და სკოლის მასწავლებლად დადგა.

იოჰან. რა იყო ამისი მიზეზი?

ფრ. ანნა. მხატვარი დარწმუნებულია იმაში, რომ მასწავლებლობა უფრო სასარგებლოა.

იოჰან. ამ დასკვნამდის როგორ მიდის?

ფრ. ანნა. (წიგნს აჩთვებს და შლის) მომიტონით. უკეთესი იქნება თვითონ ის აღვილი წავიკითხოთ... აი აქ არის! (ნახევანჯიქს თითს დაადებს. შემდეგ მიუბრუნდება და უხსნის) ინჟინრად ნამყოფმა დედოფმა რიბინინი მიიყვანა ქვაბების ქარხანაში. ის მუშები, რომლებიც ქვაბებს შიგნიდანა სკედენ, სიერთოთ, ადრე ყრუვდებიან, ამიტომ დანარჩენი მუშები იმათ ყრუანჩელებს ეძახიან, დედოფი რიბინინს იმისთანა დროს აჩვენებს „ყრუანჩელას“, როდესაც იგი მუშაობს. (კითხულობს წიგნში) „ის იჯდა ქვაბის ერთ კუთხეში მოკრუნჩხული და გული შეეშვირა ქვაბის გვერდისათვის, რომელსაც ზემოდან ჩაქურჩებს ურტყამდნენ. მე ნახევარსაათის ვუყურებდი; ჩაქური ასჯერ ავიდა და დავიდან „ყრუანჩელა“ კი იწლაწნებოდა. მე იმას დავხატავ“.

ფრ. ფოკ. რისთვისაა საჭირო ამისთანა საცოდავის აღწერა? ვისთვისაა სანამოვნო?

იოჰან. (იღინის და დედას თავზე სეჭს უსჯამს) დედილო, დედილო! მოთხრობაში გმნა უთუოდ საცინარი რამე უნდა იყოს რა.

ფრ. ფოკ. მე მაგას არ ვამბობ. მაგრა. მხატვრულ ნაწარმოების კითხვა უისიამოვნებას უნდა ვგრძნობდეთ.

იოჰან. სიამოვნების გარედ კიდევ ბევრი რამ სხვა შეგვიძლიან ვიგრძნოთ.

ფრ. ანნა რიბინინიც სრულებით სიამოვნებას არ გრძნობს. ის ზარდაცემული... აღილელებულია.

იოჰან. მასწავლებლათ გადაქცევა, ჩემის ფიქრით, ვერაფერი აზრია.

ბრაუნ. რატომ? განა მასწავლებლობა უფრო სასარგებლო არ არის, ვიდრე სურათების ხატვა და თხზულებებს წერა.

იოჰან. მე არ ვიცი რამდენად ძვირად აფასებ შენს შრომას, მაგრამ რაც შემეხება მე უნდა გამოვტყდე, რომ ჩემ შრომას კარგა მაღლა ვაყენებ.

ბრაუნ. შენ არ გინდა გამოტყდე და მე კი გამოვსტყდი,—ეს ერთად ერთი განსხვავებაა ჩვენ შორის.

იოჰან. ვითომ რაში არ მინდა გამოვსტყდე

ბრაუნ. აი იმაში...

იოჰან. რაში?

ბრაუნ. იმაში, რომ შენი მწერლობა, და მაგისი მზგავსი, სრულებით საჭირო არ არის... სულ მეტია...

იოჰან. რომელი მწერლობა?

ბრაუნ, აი შენი ფსიხო-ფიზიოლოგიური.

იოჰან (უზრდელად) შენ იმისი არა ვაგეგება რა!

ბრაუნ. არც მინდა რომ გამეგებოდეს...

იოჰან. მაშ შენ სრულიად უვიცი ჰყოფილხარ და განათლების იმ საფეხურზე მდგარხარ.

ბრაუნ. კმარა, კმარა, გეყოფა სკოლაში შექმნილი განათლებით ტრახახი...

იოჰან. მე ვგმობ, ვაფუროთხებ სკოლაში მიღებულ ჩემ განათლებას, შენ ეს კარგათ იცი, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვარ...

ბრაუნ. შენ ეგ ათასჯერ გითქვამს, მაგრამ შენი სკოლური მზრავლობა ყოველ სიტყვაში გამოსტყვივის! ეჭ, მაგრამ კმარა ამაზე!.. ყველა ეს იმდენად საფრთხილო რამაა, რომ თვითუღმა თავისათვის უნდა გადაიწყვიტოს.

იოჰანესი. რა არის საფრთხილო?



უბედურად დაღუპული სტუდენტები
ხ. ბადურაშვილი (მგობანი კიკნა. ფშაველი)
 და მწერალი გრ. ზურ. ხერხეულიძე
 (გარდაცვლებიდან ერთი წლის შესრულების გამო)

ბახმაროს მთებს

ცხოველ მზის სხივით დღისით გულს ითბობ,
 ღამით კი მთვარე ხვამადას განდობს,
 ნაძენართა გროვა დარაჯად გიდვას,
 ჩანჩქარა წყლები ზღაპრებს გაიმობს.

ქექა-ქუხილი ელვას გიგზავნის,
 ცისარტყელა კი ღამაზ რგოლს გავლებს,
 თოვლის ნაგლეჯი დაჰკერვბია,
 მიუწლომელსა შენსა მწვერვალებს.

თეთრი ღრუბელი თავს დაგქათქათებს,
 ხან კი ოქროს ფრად ვადიფერება,
 მთისა ნიავი ქოჩორსა გიშლის,
 გეჩურჩლევა და გეფერება.

ხან სახეს იცვლი, მთელი მიდამო,
 ნისლით და ღრუბლით დაიბურება,
 ჰქრება მზის სხივი, თავსა ხრის მიძიმეთ,
 აღამიანთან ერთად ბუნება.

თვისკენ შეძახის, თავისთან მიხმობს,
 ამოსასვლელად მწვერვალი შენი,
 ჩემი საშობლობს ნაქერი რომ ხარ,
 იქნებ ღამაზო იმისთვის ჰშენი.

ხან, არ დაემალავ, შურს ვგრძნობ შენდამო,
 რო მე არ ძალმიძს შენებრივ დგომა,
 ეგრე ამაყად, ეგრე უშიშრად
 რომ არ გამდუნოს აროდეს დრომა.

მიყვარხარ მთაო, მიყვარხარ მიტომ,
 რომ ღამაზი ხარ, მიუწლომელი,
 და კაცის ხარბი გულიც მას ეტრფის
 სანამდის მას არ მისწვდევბა ხელი.

ვაჰქრება წლები, მეც მას გავყვები,
 სხვები გეწვევა, შენ კვლავ იქნები,
 ათასი მებიც თავზე დაგეცეს
 თავმოუხრელად მედგრად იდგები!...

საფო მგელაძე.

აკვანის... კუბო.

ნაწყვეტი.

ვახტანგის ოჯახი დიდ სიხარულს განიცდის... ყველა ერთნაირათ მხიარულობს... მოიღბენს...

—სწორეთ ბედნიერი ვართ ჩემო მშვენიერო თამარ... დაილოცა ღვთის სამართალი, რომ ჩვენი ოჯახიც გამხიარულდა და გაბედნიერდა...

— ვენაცვალე მის სახელს. მან უკეთ იცის ვის რა ესაქიროება!..

აბა შეხედე რა მშვენიერია...

ანგელოზია ნამღვილი...

ანგელოზი! — აღფრთოვნებით წამოიძახა თა. მარამა და თავისი პატარა შოთიკო ხარბათ ჩაკოცნა...

— ღმერთმა ჩემ ხანათ მოჰყაროს შეილებო! ძლივს ჩაილაპარაკა ასი წლის ბებიამ და მეტის სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა...

— მამა... ეხლა ხო მეცა მყავს პატალა ძამია!... ეკითხებოდა ვახტანგს თავისი პატარა ქალი თინა...

— როგორ არა, ჩემო ჩიტუნია... აი თუ არა... სიღამაზით შენა გგავს... როცა გაიზრდება ერთად ივლით.. იმხიარულებთ!.. ენა მოქცევით უბასუხებდა ის ცელქ თინიკოს და გულში იკრავდა...

პატარა კი თავისთვის იწვა აკვანში... ამას თითქო ესმის ყოველივე, ღიმილი უთამაშებდა ღამაზ სახეზე...

ხელები ამოეწვა და დრო-გამოშვებით, სიამოვნების ნიშნათ ზადუ-აღუს“ გაიძახოდა.

შემოდგომის წვიმიანი დღეა... გულ შე-
მზარავი ქარი ბრაზ მორეულათ დაჰქრის, მო-
მაკვდავის ხმით კვნესის და საიდგანლაც ახალ
ახალ ღრუბლებს მოერეკება...

ვახტანგის ოჯახში აუარებელ ხალხს მო-
უყურია თავი... ბევრ მათგანს მწუხარების ბეჭე-
ლი აზის სახეზე... ბევრი კი მხიარულათ
ილიმება და ერთი მეორეს რაღაზედაც ეოხუ-
ნჯება...
შავათ მორთულ ოთახში კი კუბოში ვილაც
ასვენია...

ირგვლივ სანთლები ანთია...

— ვაი უბედურო თამრო... რა დღეს
მოესწარ... შენი სიცოცხლე შოთიკო კუბო-
ში გისვენია... ჯერ კიდევ პირველ აკვანიდან
არ ამოსულა და მისთვის მეორე აკვანი და-
იდგა...

სიცოცხლის გარიჟრაჟზე აღბნელდა
მზე... ღმერთო... რა დავაშავეთ... რა... რი-
სთვის დაჰბადე, თუ ასე ხანმოკლე იყო მისი
სიცოცხლე!-სასოწარკვეთილებით ჰქვითინებდა
უბედური თამარო და მეტის მწუხარებისაგან
სახეს იხოკდა...

— ღმერთო, ღმერთო... რად შეგშუ-
რდა ჩვენთვის ეს ერთი ვაჟი!.. რათ გვაჩვენე
თუ ისევ მალე წაიყვანდი... ვაი დამხობილო
სახლკარო... ოჯახო!.. შეილო... შეილო
შოთიკო!.. შენგან... შენგან მოველოდი მე
დამარხვას და დღეს კი რას ვხედავ?! უნუგე-
შოთ მოსთქვამდა ვახტანგი.

კუბოს თავით კი კარგა მოზრდილი
თინიკო იდგა და ცრემლით იღვრებოდა...

ლ. ძიძიაგური.

შრომის სამეფო

(იხ. „თ. და ც.“ № 26)

ერთ საღამოს მუშაობის გათავების შემ-
დეგ, ოლია საჩქაროთ გაეშურა ქილაქს გა-
რეთ პატარა გორისაკენ, სადაც მას უნდა
დახვედროდა, ერთი თვის წინეთ გაცნობილი
რუსეთიდან ახალ ჩამოსული „პატარა გიგოა“.
„პატარა გიგოა“-კი ცნობილი პირი იყო მუ-
შებში. ის ხუთი წლით მოაშორეს თავის სამ-
შობლოს, მაგრამ დაბრუნებისათნავე შეუდგა
თავის საყვარელ საქმეს—მუშებში მოქმედე-

ბას. ოლია მან გაიცნო მას შემდეგ, რაც
ბაიათოვის ქარხანაში პატარა წრე შეადგინა
და წრეში ცხოვრებით უკმაყოფილო, დანტე-
რესებული, მოქმედი ოლია ნახა. ოლიასაც
ძლიერ იტაცებდა ეს მისთვის ახალი საქმე,
ის წინანდელთან შედარებით სრულიად გამო-
იცვალა და თუ წინეთ თავისი თავი საბრა-
ლოთ მიანჩნდა, ეხლა ის ამგვარ შეხედუ-
ლებიდან განთავისუფლდა.

— ეხლა დავიბადე, ეხლა ამეხილა თვა-
ლები, ეხლა მოვედი ქვეყნათ!.. — ასე ფიქ-
რობდა ბოლო ხანებში ოლია და მის სიხა-
რულს საზღვარი არ ქონდა...

— სწორედ ბნელდებოდა, როცა ოლია
დანიშნულ გორაზე ავიდა. მთელი დღით ნა-
მუშევარი, ის ძლიერ დაღლილი იყო, მაგრამ
შეუშინეველათ გაიარა საკმარისი გზა, მხო-
ლოდ იქ კი არავინ დახვედრია...

— დავიცდი, მოვლენ, — სთქვა მან
თავისთვის და იქვე ჩამოჯდა ხის ძირას. ის
ფიქრებში გაერთო, თან საღამოს ჩვეულებ-
რივი ნიაფი ქროდა...

— მართლაც, როგორ შევიწროვებულია
დედაკაცი, არავინ არაფრათ აგდებს, უღონო
არსებათ სთვლიან, ყველანი ამცირებენ და
იღამიანთაც არ მიაჩნიან... სწორეთ ასეთი
ცხოვრება შეუძლებელია, ოჯახი, მუშაობა,
ბავშვის აღზრდა, ერთი სიტყვით ყველაფერი
უნდა გააკეთოს და უფლება — არაფერი...
— ფიქრობდა ის...

გაირბინა რამოდენიმე წუთმა და ფეხის
ხმაც მოისმა.

— მოდის გიგა. — ჩაი თაპარაკა ოლიამ
და წამოდგა.

„პატარა გიგა“ გამოჩნდა. დაბალი ტა-
ნის, სახე გამხდარი, უბრალო ცანსცემელში,
თმა-ქოჩორა, ასე ოცდა შეიდი წლის...

ის ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა ოლიას.
— გამარჯობა! — წყნარათ უთხრა ოლი-
ას და ხელი გაუწოდა.

— გაგიმარჯოს! — სიხარულათ უპასუხა
ოლიამ და ხელი ჩამოართო.

— დამიგვიანდა. მუშაობა გვიან გავათავე.
— თქვენ დიდი ხანია მოხვედით?
— არა, ცოტა ხანია. — უპასუხა ოლიამ.

— სხვა არაფერ არ მოსულა? — შეგეკითხა გიგა.

— მე არაფერ დამხვედრია.

— რისთვის არ მოვიდნენ?

— არ ვიცი. ან კი ვის ელოდით?

— სხვა და სხვა ქარხნებიდანაც უნდა მოსულიყვნენ.

— ალბათ მოვლენ. (ისინი ჩაფიქრდნენ).

— დავსხდეთ, დავისვენოთ! — უთხრა გიგამ ოლიას და თვით ჩამოჯდა იქვე. ოლიამ ცას შეხედა და ცოტა ხნის შემდეგ გიგას ახლო დაუჯდა

— რა მშვენიერი საღამოა! — დაიწყო ოლიამ.

— დიდებული... მხოლოდ ჩვენ რა გვეკუთნის ამ მშვენიერ საღამოდან...

— არაფერი... — მოწყენით სთქვა ოლიამ.

— მართლა არაფერი, მაგრამ ჩვენც მივალწევთ ადამიანურ ცხოვრებას, ჩვენც როდისმე დავსტკებებით ბუნებით... ეხლა კი დღით და ღამით ვშრომობთ და სად გვცალიან გავიზიაროთ ბუნების საიდუმლოება... ისე მოვა დრო...

— იპ, სად გვაქს ჩვენ ამის დრო... სხვა საქმეებიც ბევრი გვაქს...

— იცით ოლია: ბევრი ტანჯვა განიცადა კაცობრიობამ და კიდევ ვინ იცის რა მოვლის, მხოლოდ ტანჯვა ქმნის ყველაფერს, — სიყვარულსაც ძლიერებასაც, სიცოცხლესაც...

— მეც სწორეთ ამ ტანჯვაში დავიბადე, აღვიზარდე. მთელი ახალგაზდობა უიმედობაში გავატარე და ეხლა კი დავრწმუნდი მე გამარჯვებული გამაგსულვარ ცხოვრებაში, ან კი ტანჯვა რათ შემაშინებს? — მართალია ქალი ვარ, მაგრამ დღეს უკვე მწამს მეც ისეთი ვარ, როგორც კაცი, და ვიტანჯო...

— მე'მს, მხოლოდ შეგეკითხები: რაიმე განმკდელი რომ შეგხედეს, შეგიძლია თუ არა აიტანო? დაფიქრდი და მიპასუხე!

— ფიქრი რათ უნდა, მას შე'დეგ რაც მე სინა'დვილეს გავეცანი — მზათ ვარ...

— წინეთ, გაცნობამდი?

— მაშინ სხვა იყო, არც კი ვფიქრობდი საერთო საქმეზე, მაშინ ჩემი თავი მონათ წარმომედგინა, უიმედობა და ტირილი მიმჩლილებდა... ეხლა... ეხლა კი გამოვიცვალე გაბედულება მომემატა, მინდა გამოვიდე ამ მდგომარეობიდან და მეც ადამიანი ვახდე, არამც თუ მე, არამედ ჩვენი მრავალ მხრივ შევიწროვებული, დამცირებული, და ტანჯული ქალები...

— მეტად სასიამოვნოა... მოხარული ვარ შენი სიტყვებით და დარწმუნებულიც მტკიცეთა ასრულებ მოვლევობას, ჩემო ოლია!

— მე რა დამრჩენია მეტი, თუ ეს არ ავასრულებ. ცოტა ხნით მათში მყუდროება ჩამოვარდა. სიბნელემ იმატა.

— როგორ მოგწონს ქალაქი? — დაარღვია სიჩუმე გიგამ.

— წინეთ მძულდა, ეხლა შემეყვარდა, მართლაც აქ ცხოვრება მდელვარია — რთულია...

— ქარხანა?

— ქარხანაც მძულდა, ეხლა ისიც შემეყვარდა.

— რისთვის?

— როცა გავეცანი სინამდვილეს, მე იქ ძალას — ძლიერებას ვხედავ.

— სოფელი არ მოგენატრათ?

— სოფელიც მენატრება, მენატრება დედა, დაძმა... ნეტა როდ ს ვნახავ?...

— დიდი ხანია, რაც მოშორდი სოფელს?

— დიდი ხანია. პატარაობიდან აქ აღვიბარდე.

— რაც აქ ჩამოვხედ, შემდეგ არ ყოფილხარ სოფელში?

— არა. არც ფული მქონდა სამგზავრო, ისე სურვილი მუდმივ.

— სოფლად მოძრაობა რომ იყო გახსოვს?

— მაშინ, პატარა ვყავი, წარმოდგენაც არ მქონდა მასზე.

— ქალაქში რომ ცხოვრობ მერე?

— ა... კი არაფერი მსმენია.

— ეხლა კი, როგორ ფიქროს?

— მე მტკიცეთ მწამს; სულ ადრე გამოიღვიძებს ხალხი.

— და აი, სწორედაც ამისათვის უნდა ვიმოძრაოთ.

— მუშებს მუდმივ უკმაყოფილება ეტყობა, მხოლოდ არ იციან, როგორ მოიქცენ.

— ამიტომ არის საჭირო მათი შეერთება.

— მეც ამისთვის მოვაწყვე ქალების წრე ჩვენს ქარხანაში.

— მართლა თქვენს ქარხანაში როგორი მდგომარეობაა ან მუშები, რას ფიქრობენ?

— მუშებს მოთმინება ეკარგება, გრძობენ აუტანელ სიმძიმეს და უკმაყოფილება ფართოვდება.

— და აი, დროც ეხლა შესაფერისია.

— კი, მარა საჭიროა საქმე, გზის ჩვენება.

— დიახ, ამიტომაც ვიწყებთ მოქმედებას და უნდა გავაძლიეროთ თანდათან.

— ყველა ქალები მემხრობიან, უკმაყოფილო არიან ხვედრის..

— რომ საჭირო დარჩეს— გამოვლენ!

— სულ ყველა გამოვა.

— მაშ, კარგათ ყოფილა საქმე, ჩვენი მუშა ქალები ჩამორჩენილნი და შევიწროვებულნი არიან.

— დიახ, ჩამორჩენილიც ვართ, უსწავლებელიც და დამონებულნიც!..

— ეს ასეა, ოლია, ნასწავლი სიდან იქნება მუშა ხალხი, ვინ ასწავლიდა?..

(გაგრძელება იქნება.)

ა. უფუხსპირელი.



„ფიქრი სანტრი“ და „ფიქრნი შავად მღელვარნი“

ნიკ. ბარათაშვილი როგორც მამულიშვილი.

(იხ. თ. დ. № 26)

ადამიანის უოველ გვარი შინაგანი მოთხოვნილება: ხორციელია იგი თუ სულიერი, ჯერ ბუნდოვანია და გამოურყვვეელი, ობიექტ გაუთვალისწინებელი. ნანდამ საგანს იგი დიდ ხანს ეძებს, და პოულობს შემდეგ მრავალჯერ ტღისა. ავიდოთ მაკ. შიმშილი ან წუწრვილი. ეს მოთხოვნილებაანი წინ უსწრებენ იმ საამეს, რამეღსან ადამიანი მათგან მიიღებს. იმ საგნებზედაც, რამეღითა უნდა დააკმაყოფილონ ეს მოთხოვნილებაანი—ხედ მიწეღით და ხედ დაღებით რადი უთითებენ: არა, ადამიანმა მრავალ-გზის და მრავალ საგნებით სტადა შიმშიღისა და წუწრვიღის დაკმაყოფილება, ვიდრე შეიგნებდა, რომ მრავალ საზრდოთა შორის პური უკეთესად აკმაყოფილებს შიმშიღს და წყალი წუწრვიღს. ამიტომ ეს საგნები ადამიანის შემეღნებაში გადაებენ შიმშიღს და წუწრვიღს და დღეს უვეღანი გაიძახიან: „პური გვეღან. წყალი გვეწურღანო“, შემდეგ დიდი ხნის ძიებისა პური და წყალი გახდა მიზნით შიმშიღ-წუწრვიღისა.

სულიერ მოთხოვნილებათა შესახებაც ესევე უნდა ითქვას, იმ დამატებით, რომ მათი ძიება

და პოვნა გაცილებით უფრო ძნელია და სანგრძლივი. რაც ადამიანი უფრო გონებით გამტრახანია, გრძობით ღრმა, გუღის თქმით ძაღუში, მით უფრო მისი სიცოცხლის მიზანი შორეულია, წადიერება დაუკმაყოფილებელი, იღვლი მიუწღომელი. ბარათაშვილი სწორეთ ასეთი ბუნების ადამიანი იყო. ამიტომ სიცოცხლის მიზანს სათვალღნადისოთ ვერ ხედავდა და არსებული ცხოვრების პირობები მას ვერ აკმაყოფილებდა. ერთ წერიღში ბიძას სწერს: „მე შინაგანი ხმა მიწვევს უკეთესი ხვეღრღისაკენ: გუღი მეუბნება;“ შენ არა ხარ დაბადებული ახლანდელი მღგომარეობისათვისაო“ ნუ გძინამსო. მე არა მიძინავს, მაგრამაკაცი მიხდა, რომ ამ პატარა დრე კღღეს გადამიუგანოს და დაღღე გავღიღ გზახედ.

ჩვენ შემდეგში ვინახავთ, რომ პოეტო სტუუვღება. პატარა დრე კღღე კი არ ჭეოფს მას მისი ხვეღრღიღგან, „არამედ გარღაუგალი უფსკრული, რამეღსეღანც განწირული სუღის კვეთებით გადასტუნებს თავის უგზო უვეღოთ მუღრინავ მერანს, ეს დრე-კღღე ვოფხა არ უოფინის საკითხი იყო, სიკვედიღ-სიცოცხლის გარღწვეღბა. ამ ბუნების ადამიანს როგორ დააკმაყოფილებდა ცხოვრების ნივთიერი მხარე, როგორც უნდა კ-

რგათ უფილიყო იგი მარჯობაში? რამ ეს ასეა, ამის აღსრულებს მისი წერილი დასთან. აი რას სწერს: „ისეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო ანა ჰქონდეს, ისეთს რას მიიღებ, რომ არ დაპა- რგო. მიჩვენე კარგი, რომ კმაყოფილი იყოს თავის ბედისა. დამარხე უმანკაებს გულის, მშვენიერ- ება სულისა, აი ჭეშმარიტი ბედნიერება, რომე- დსაც კი აღამინი წაიღებს ამ სოფელიდან. სხვათა ბედნიერებათა ამ სოფლისათა უტყირე გულგრილად, და გწამდეს, რომ ისენი შეურ- ჩენელი არიან და წარმავალნი.“ სხვის დამრი- გებელი თვით რაკორ გადააკვლებოდა ამ შეურ- ჩენელ და მარჯაფლ-წარმავალ ცხოვრების მა- ტრიალურ მხარეს?

თუმცა აღამინის გულისთქმა და უმადდესი ზრახვანი ცისკენ და მარადისობისკენ ისწრა- ფიან, მიგრამ მისი ფესები კი დედაშიწას ანაბ- რია, ამიტომ ვერ გაქტევა იგი ვერსაით ცხოვ- რების ნიეთიერ და წარმავალ პირბებს. ჩვენ ზოეტსაც ძალაუნებურათ უნდა ეზრუნა ცხოვ- რების მატრიალურ მხარესზე, აკი ზრუნავს კიდრე. მას უნდადა სამხედრო სამსახური, მაგ- რამ კოტლახში დარედა. სწადა მადალ სამსაფ- დებელში შესულა მაგრამ ნიეთიერმა სელ-მრეკლეო- ბაში დაბრკოდა. სურდა გენერალ რენუნაფთან ეშოვნა მადლი რამ სამსახური, მაგრამ მისმა ბიბა გრიგოლ ობედიანმა, რომელსაც ბარათა- შვილი ესვეწებოდა ეშომადგომილ ან შეურსულა და თავი არ შეიწუნა მისთვის დარჩა „სუდა რას- ზრავაში“ და უკმაყოფილოთ დამოხრინდა თავის შკატრ ბედს.

ჩვენი ზოეტის უმთავრესი სამქვენიო ზრუნვის საგანი, რამდენათაც მისი ზოეტური შემოქმედება გვამხედს—სამშობლოა, ქართლის- ბედა. ბარათაშვილი იმდენათ იყო გატაცებული ამ მიზნით პირველ ხანებში, რომ კინაღამ სი- ცოცხლე შესწირა: თავი არ დაზოგა დიდ გან- საცდელში ჩასაცდებად. მოგახსენებათ, რომ ერთ- მა ზატარა ჯგუფმა განიძრახა აფერიადები- ნათ თავისუფლების დროში, და დაესხნათ უკი- დურესათ გაჭირვებული სამშობლო ატრანელ შეწუხებიდან. მოახდინეს შეთქმულება, ამბოხი უნდა შოესდინათ. მაგრამ ერთმა სულ-მდაბლმა გასცა და შეთქმულება აღმოჩენილი იქმნა. ამ ზატარა თავდადებულთა წრეს ჩვენი ზოეტიც

ეკუთნოდა. საბედნიეროთ მთავრობა დრობიეროთ მოუხურა მათ და დასაჯა თავისებურათ-შკატრათ. ზოეტმა თავისი მამულიშვილური გრძნობანი გა- შოსთქვა ლექსებში: „ბუღბუღი ვარდზედ“ რბე- დი ქართლისა, და „სუშბუღი და მწირია“.

ლექსში რბუღბუღი ვარდზედ“ გამოთქმუ- ლი აქეს ბარათაშვილს ის სულიერი ტანჯვა, რომელიც მან განიცადა, შემდეგ ამბოხების ჩაქრო- ბისა, როდესაც მისი ზოეტიური ვარდის კოკ- რები იმედები უდროოდ ჩასტყნენ. ამ ლექსში ბუღბუღი თვით ზოეტია, ვარდი სამშობლო და კოკრები ზოეტის იმედები სამშობლოს გაფურ- ჩქენაზედ, რომელსაც მოუთმენდად ელოდა.

„ბუღბუღი ვარდზედ მუდარი ეტყოდა მას მტრინავი:

ვარლო, ვარლო, მტანჯ ჩემო, გვედრებ გულით მტრინავი.

მადირსე, თუ როგორ არს გაშლა შენი მადლინავი.

მწუხრსა აქეთ აქ ვზივარ, ფოთლებზედა მკონავი“.

ამ მოლოდინში ბუღბუღს თითქოს მიერუ- ლა და სდუმდა, ბუღბუღს დამე ქალები მოიღვა. უცებ აღმოაჩინდა მთიები (იმედი სამშობლოს დახსნისა, (ფრთხისანთ მხიარული გალობა ჰევეს ჰაერში განადგობეს ბუღბუღი (შეთქმულობა), ნახს ვარდი ფურცნილი და მისი მოუკვდა გუ- ლის (ამბოხის ჩაქრობა). აქედან იწეება ზოეტის ბუღბუღის მოთქმა-გადება:

„თვალნი ემოსა ტრემლით, გული სევდის საცმლითა.

უნმო ყოველთა სირთა, მოღით და შე- მოკრბითა,

მისმინეთ, შემობრალეთ, ვის მივმართო წყლულითა,

განთიადით ღამემდე შეფფრფრვილი კოკრობას,

არ ვზოგავდი სიცოცხლეს, უძილობას გალობას.

მქონდა მკირე წაღილი, ვერ მივხვდი კი ძნელობას

მსურდა გაშლა ვარდისა, არ ფიქრობ- დი ღაქკნობას.“

(გაგრძელება იქნება)

დომ. დეკანოზიშვილი

რედაქტორ-გამომც. იოსებ იმედაშვილი.

— და აი, სწორედაც ამისათვის უნდა ვიმოძრაოთ.

— მუშებს მუდმივ უკმაყოფილება ეტყობა, მხოლოდ არ იციან, როგორ მოიქცენ.

— ამიტომ არის საჭირო მათი შეერთება.

— მეც ამისთვის მოვაწყვე ქალების წრე ჩვენს ქარხანაში.

— მართლა თქვენს ქარხანაში როგორი მდგომარეობაა ან მუშები, რას ფიქრობენ?

— მუშებს მოთმინება ეკარგება, გრძობენ აუტანელ სიმძიმეს და უკმაყოფილება ფართოვდება.

— და აი, დროც ეხლა შესაფერისია.

— კი, მარა საჭიროა საქმე, გზის ჩვენება.

— დიახ, ამიტომაც ვიწყებთ მოქმედებას და უნდა გავაძლიეროთ თანდათან.

— ყველა ქალები მემხრობიან, უკმაყოფილო არიან ხვედრის..

— რომ საჭირო დარჩეს—გამოვლენ!

— სულ ყველა გამოვა.

— მაშ, კარგათ ყოფილა საქმე, ჩვენი მუშა ქალები ჩამორჩენილნი და შევიწროვებულნი არიან.

— დიახ, ჩამორჩენილიც ვართ, უსწავლებელიც და დამონებულნიც!..

— ეს ასეა, ოლია, ნასწავლი სიდან იქნება მუშა ხალხი, ვინ ასწავლიდა?..

(გავრძელება იქნება.)

ა. უუყისპირელი.



„ფიქრი სანტრი“ და „ფიქრნი შავად მღელვარნი“

ნიკ. ბარათაშვილი როგორც მამულიშვილი.

(იხ. თ. ლ. 3, № 26)

ადამიანის უოველ გვარი შინაგანი მოთხოვნილება: ხორციელის იგი თუ სულიერი, ვერ ბუნდოვანია და გამაურკვეველი, თბიკეტ გაუთვალისწინებელი. ნანდომ საგნის იგი დიდ ხნის ეძებს, და ზოულაბს შემდეგ მრავალჯერ ცდისა. ზვიდოთ მკ. შიმშილი ან წუურვილი. ეს მოთხოვნილებაანი წინ უსწრებენ იმ სიამეს, რომელსაც ადამიანი მათგან მიიღებს. იმ საგნებზედაც, რომელითაც უნდა დააკმაყოფილდეს ეს მოთხოვნილებაანი—ზედ მიწვენით და ხელ დადებით რადი უთითებენ: არა, ადამიანმა მრავალ-გზის და მრავალ საგნებით სცადა შიმშილისა და წუურვილის დაკმაყოფილება, ვიდრე შეიგნებდა, რომ მრავალ საზრდოთა შორის პური უკეთესად აკმაყოფილებს შიმშილს და წყალი წუურვილს. ამიტომ ეს საგნები ადამიანის შემეცნებაში გადაეხევენ შიმშილს და წუურვილს და დღეს უკვლანი გაიძახიან: „პური გვშინა. წყალი გვწუურვანო,“ შემდეგ დიდი ხნის ძიებისა პური და წყალი გახდა მიზნით შიმშილ-წუურვილისა.

სულიერ მოთხოვნილებათა შესახებაც ესევე უნდა ითქვას, იმ დამატებით, რომ მათი ძიება

და ზოგნა ცდილებით უფრო ძნელია და სანგრძლივი. რაც ადამიანი უფრო ვანებით გამოცრინასა, გრძობით ღრმა, გულის თქმით ძალუმს, მით უფრო მისი სიცოცხლის მიზანი შორეულია, წადიერება დაუკმაყოფილებელი, იდეალი მიუწადმელი. ბარათაშვილი სწორეთ ასეთი ბუნების ადამიანი იყო. ამიტომ სიცოცხლის მიზანს სათვალესადისათ ვერ ხედავდა და არკებული ცხოვრების პირბები მას ვერ აკმაყოფილებდა. ერთ წერილში ბაძის სწერს: „მე შინაგანი ხმა მიწვევს უკეთესი ხვედრისაკენ: გუდი მეუბნება;“ შენ არა ხარ დაბადებული ახლანდელი მდგომარეობისათვისა“ ნუ გძინამსო. მე არა მძინავს, მაგრამაკტი მინდა, რომ ამ პატარა დრე კლდეს გადამიყვანოს და დავდეკ გაშლილ გზაზედ.

ჩვენ შემდეგში ვნახავთ, რომ პოეტი სტრუუდება. პატარა დრე კლდე კი არ ქუთოს მას მისი ხვედრიდგან, „არამედ გარდაუვალი უფსკრული, რომელზედაც განწირული სულის კვეთებით გადასტუნებს თავის უგზო უკვლათ მიფრინავ მურანს. ეს დრე-კლდე ვაფანა არ ვაფანის საკითხი იყო, სიკვდილ-სიცოცხლის გარდაწვევატ. ამ ბუნების ადამიანს როგორ დააკმაყოფილებდა ცხოვრების ნივთიერი მხარე, როგორც უნდა კ-

რვათ უფიქროს იგი მწიგნობარი? რამ ეს ასეა, ამას აღასტყვებს მისი წერილი დასთან. აი რას სწერს: „ისეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა მქონდა, ისეთს რას მიიღებ, რომ არ დაჰკარგო. მიხედე კარგი, რომ კმაყოფილი იქნის თავის ბედისა. დამინახე უმანკოება გულის, მშვენიერება სულისა, აი ჭეშმარიტი ბედნიერება, რომელსაც კი აღამინი წაიღებს ამ სოფლიდან. სხვათა ბედნიერებათა ამ სოფლისათა უტყინე გულკრივად, და გწამდეს, რომ ისენი შეურჩენელნი არიან და წარმავალნი.“ სხვის დამრიგებელი თვით როგორ გადააკვდებოდა ამ შეურჩენელ და მწიგნობარ-წარმავალ ცხოვრების მატარებელს მხარეს?

თუმცა აღამინის გულისთქმის და უმადესი ზრახვანი ცისკენ და მარადისობისკენ ისწრაფიან, მიგრამ მისი ფეხები კი დედამიწას ანაბრის, ამიტომ ვერ გაქვითვს იგი ზეცით ცხოვრების ნივთიერ და წარმავალ პირბებებს. ჩვენ ჰოეტისად ძალაუბრებთან უნდა ეზრუნა ცხოვრების მატარებელს მხარეს, აკი ზრუნავს კიდევ. მას უნდა აღამინად სარგებლობა, მაგრამ კოჭლბაში დაუშალა. სწადა დადალ სარგებლებელში შესულა მაგრამ ნივთიერება სელ-მრკვლეობაში დააბრკოლა. სურდა განერაღებინა ეშინა მადლი რამ სარგებლობა, მაგრამ მისმა ბიძა გრიგელ ობებელიანმა, რომელსაც ბრატა-შვილი ეხვეწებოდა ეშინადგომდა არ შეურსულა და თავი არ შეიწუხა მისთვის დაწინა „სუღია რას-ზრახვამი“ და უკმაყოფილოთ დაემოწინა თავის მკაცრ ბედს.

ჩვენი ჰოეტის უმთავრესი საამქვეყნიო ზრუნვის საგანი, რამდენათაც მისი ჰოეტური შემოქმედება გვამსელს—სამშობლოა, ქართლის-ბედა. ბრატა-შვილი იმდენათ იყო გატაცებული ამ მიზნით პირველ ხანებში, რომ კინაღამ სი-ცოცხლე შესწინა: თავი არ დაზოგა დიდ განსაცდელში ჩასვლებად. მოგეხსენებათ, რომ ერთმა პატარა ჯგუფმა განაძრახა აფორიალებინათ თავისუფლების დროში, და დაეხსნათ უი-დურესათ გაჭირვებული სამშობლო ატრანელ შეწუხებულნი. მანდაინეს შეთქმულება, ამბოხი უნდა შეესდინათ. მაგრამ ერთმა სულ-მდაბალმა გასცა და შეთქმულება აღმოჩენილი იქნა. ამ პატარა თავდადებულთა წრეს ჩვენი ჰოეტის

უკუთნდა. საბედნიეროთ შთაგრძობა ღმობიეროთ მოეპყრა მათ და დასაწყა თავისებურათ-შეატრათ. ჰოეტმა თავისი მამული-შვილური გრძობანი გა-მოსთქვა ლექსებში: „ბუღბუღი ვარდზედ“ აბე-დი ქართლისა, და „სუბუღი და მწიგნობარი“.

ლექსში ბუღბუღი ვარდზედ“ გამოთქმუ-ლი აქვს ბრატა-შვილს ის სულიერი ტანჯვა, რომელიც მან განიცადა, შემდეგ ამბოხების ჩაქრობისა, რომელსაც მისი პოლიტიკური ვარდის კოკრები იმედები უდროოდ ჩასტკინენ. ამ ლექსში ბუღბუღი თვით ჰოეტია, ვარდი სამშობლო და კოკრები ჰოეტის იმედები სამშობლოს გაფურჩქნაზედ, რომელსაც მოუთმენდა ედობა.

„ბუღბუღი ვარდზედ ბუღბუღი ეტყობა მას მსტვინავი:

ვარდო, ვარდო, მტანჯ ჩემო, გვედრებ გულით მტკინავი. მალირსე, თუ როგორ არს გაშლა შენი მალინავი.

მწუხრსა აქეთ აქ ვზივარ, ფოთლებზედა მკონავი“.

ამ მოლოდინში ბუღბუღს თითქმის მიერუ-ლა და სდუმდა, ბნელმა დამემ წაღებო მოიცვა. უტებ აღმობრწინდა მთიები (იმედი სამშობლოს დახსნისა, (ფრთხილანთ მხარეული გალობა ჰევეს ჰევეში განადგილეს ბუღბუღი (შეთქმულებას). ნახს ვარდი ფურცვნილი და მისი მოუკვდა გუ-ლის (ამბოხის ჩაქრობა). აქედან იწყება ჰოეტის ბუღბუღის მოთქმა-გოდება:

„თვალნი ემოსა ცრემლით, გული სევდის საცკლითა.

უხმო ყოველთა სირთა, მოლით და შე-მოკრბითა, მისმინეთ, შემობრალეთ, ვის მივმართო წყლულითა,

განთილით ღამემდე შეფრფინილი კოკრობას,

არ ვზოგავდი სიცოცხლეს, უძილობას გალობას.

მქონდა მცირე წაღილი, ვერ მივხვდი კი ძნელობას

მსურდა გაშლა ვარდისა, არ ვფიქრობ-დი დაქცობას.“

(გაგრძელება იქნება)

დომ. დეკანოზი-შვილი

რედაქტორ გამომც. იოსებ იმედაშვილი.

ხუთშაბათს მკათათვის 13 შუადღის 12 საათზე, კუკიის, წმ. ნინოს ეკლესიაში, გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ტრალიკულად გარდაცვალებულის სტუდენტის

გრიგოლ ზურაბის ძის ხერხეულიძის

მოსახსნებლად, რასაც აუწყებენ ნაცნობ-ნათესავეს გარდაცვალებულის მშობლები ოღლა ზურაბი, და ძმანი სონა და მიშა, რძალი, დარეკო, დედედა მარიამი და დეიდა ანა ელიოზი შვილისა ამავე დღეს გადახდილი იქნება ს. დგვირის შიაც

ხელოვანი მხატვარი დ. კიკნაველიძე

ადიდებს ფოტოგრაფიულ სურათებს, ასრულებს ყოველ გვარ საქმეს (საეკლესიოს და სხ.) შენაკვეთს ამზადებს საუცხოოდ, ფ. ქიზად და დროზე. თბილისში დროებითი მ-სამართი „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში (ბაზრის ქ № 20), ბაქოში პოროხოვის ქ № 56, შეკვეთას მიიღებს ფოსტითაც.



„ერთად ერთ რესტორან „ქაფე პარიზს“ საზაფხულოდ აქვს ბალი, სადაც სუფთა ჰაერზე შეიძლება საუზმის, სადილის და ვახშმის მიღებვა, არის ცალკე ფანჯატურები და კაბინეტები. სანოვავე საუკეთესო ღირსებებისა პატივისცემით სილ. გიგიზბერია.



ახალი კლუბი

კვირის პროგრამა
ორშაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50
გსამშაბათი — საოჯახო საღამო
ოთხშაბ. — სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.
ხუთშაბ. — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.
პარასკ. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დ
შაბ. — საღ.
კვირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთი 50-30 კ.

ხარჭის საზოგადო კლუბი

ორშაბათი — სინემატოგ. სიმებ. ორკ.
სამშაბათი — სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.
ოთხშაბათი — ქართული წარმოდგენა,
ხუთშაბათი — ოპერეტა რუსულ ენაზე.
პარასკევი — საოჯახო საღამო
შაბათი — რუსული წარმოდგენა
კვირა — სიმებიანი ორკესტრი
შესასვლელი ფასი: ქალები და სტუდენტები - 25 კ. მამაკაცი 50 კ.
დასაწყისი: წარმოგენა — კონცერტების — სინოგრაფ — საღ. 8 ნახ. სტეა

„თეატრი და ცხოვრება“

პრემიით წლ ურად ღირს 8 მ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „სორაპანის“ სტამბის კანტორაში მალათოვის კუნა № 1, ფოსტით: ТИФУ, per „Театра и Жизнь“ — I с. Имельшвили.